განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონში „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს კანონით „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ დადგენილი საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბება და ადგილობრივი მოსაკრებლების სფეროს სრული რეგლამენტაცია, იმისათვის რომ გამოირიცხოს ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან მოსახლეობის ხარჯზე, უკანონოდ რაიმე ტიპის გადასახადის ამოღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის მარეგულირებელი ნორმები ერთიან სისტემაში მოექცეს და გამოირიცხოს იმ ტიპის მანიპულაცია რაც თბილისის საკრებულოს მიერ განხორციელდა მოსაკრებლის მომსახურების საფასურად ტრანსფორმაციასა და თბილისელებისათვის დამატებითი ფინანსური ტვირთის დაწესებით.

კანონპროექტის მიზანია აღმოფხვრას ყველა ხარვეზი რაც კანონში არსებობს, რათა აღიკვეთოს თვითმმართველობის ორგამოების მხრიდან შესაძლო მანიპილაციები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

თბილისის საკრებულოს მიერ დასუფთავების გადასახადის წესთან დაკავშირებით განხორციელებულმა მანიპულაციამ საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

გადაწყვეტილების მიღებისთანავე საკრებულოს წევრებმა, მოქალაქეებმა და არა-სამთავრობო ორგანიზაციებმა მრავლობითი ადმინისტრაციული სარჩელებით მიმართეს სასამართლოებს მიღებული გადაწყვტილების უკანონობის შესახებ, თუმცა სამწუხაროდ მოსამართლე მხოლოდ ერთი კანონის ერთი მუხლის მოკლე ვიწრო ინტერპრეტაციით შემოიფარგლა და არ გაითვალისწინინა მოსაკრებლების სფეროს მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების დებულებები.

მოსაკრებელი არის საქართველოს კანონმდებლობით სრულიად ნათლად განსაზღვრული მოცემულობა, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ გადასახადს ბიუჯეტში;

დადგენილია მიმღები -- სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტი;

დადგენილია გადამხდელი -- ფიზიკური და იურიდიული პირები;

დადგენილია რამდენიმე მიზანი, რომელთაგან ჩვენს მიერ ინიცირებული საკითხისათვის მნიშვნელოვანია: თვითმმართველობის ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.

საქართველოს კანონით „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ", რომელიც ამ სფეროს რეგულირების ერთგვარ ჩარჩო კანონს წარმოადგენს, პრეამბულაში მითითებულია, რომ მის მიზანს წარმოადგენს საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბება იმ გადასახდელებისათვის რომელიც მომსახურების გაწევისათვის დგინდება.

შესაბამისად, კანონი (მუხლი 4) ადგენს, რომ კანონმდებლობა მოსაკრებელების შესახებ შედგება ამ კანონისა და მის შესაბამისად მიღებული კანონებისა და კანონმქვემდებარე აქტებისაგან, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას[1].

იგივე კანონი, მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ ადგენს მოსაკრებლების სახეებს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი დანიშნულების, ასევე ადგილობრივი დანიშნულებისათვის. სადაც ადგილობრივ მოსაკრებელს განეკუთვნება: **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი** (მუხლი 5.3.დ).

საქართველოს პარლამენტის მიერ, აღნიშნული კანონის შესაბამისად მიღებულია კიდევ ერთი, კონკრეტული, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" კანონი, რომელიც ანალოგიურად იზიარებს ჩარჩო კანონმდებლობის პრინციპებს, და შესაბამისად, ადგილობრივი მოსაკრებლების ჩამონათვალში მუხლი 5.3 ადგენს „მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის".

იმავე კანონის მუხლი 12[1] კი განმარტავს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის არსს[2]. მუხლის შეინაარსი შეგიძლიოთ იხილოთ სქოლიოში. აქვე

---

[1] იხილეთ კანონი მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ, მუხლი 4:
მუხლი 4. კანონმდებლობა მოსაკრებლების შესახებ
1. კანონმდებლობა მოსაკრებლების შესახებ შედგება ამ კანონისაგან, მის შესაბამისად მიღებული კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.
2. მოსაკრებლების შესახებ კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონს.
3. მოსაკრებლების თაობაზე კანონების დებულებებსა და კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის მოსაკრებლების დაწესების, შეცვლისა და გაუქმების კოლიზიის საკითხებზე წარმოშობისას, გამოიყენება მოსაკრებლების შესახებ კანონები.
4. აკრძალულია მოსაკრებლების დაკავშირებული საკითხების მოსაკრებლების შესახებ კანონმდებლობის გარდა სხვა კანონმდებლობით მოწესრიგება.

[2] მუხლი 12[1]. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის *(24.07.2006 N3503)*
1. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გაუვნებლებას და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობას.
2. მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ 2010 წელს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, გარდა ზოგადი რეგულირებისა გაჩნდა მოსაკრებლის ზღვრული ოდენობები ფიზიკურ და იუდიულ პირებზე. იქვე კანონის მუხლი 12[1] მე-5 პუნქტით დადგენილია, მოსაკრებლის დიფერენცირების სხვადასხვა პარამეტრები, თუმცა კანონით ცალსახად დადგენილია, რომ დიფერენცირების წესების მიუხედავად მაქსიმალური გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილ 3 (ფიზიკური პირების შემთხვევაში) და 25 (იურიდიულ პირებისათვის კუბურ მეტრ ნარჩენზე) ლარიან ოდენობას.

მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სრულიად ნათელი რეგულაციისა, რომელიც ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იძლევა ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, დედაქალაქის შესახებ კანონში 2011 წლის 3 ივნისს განხორციელდა ცვლილება, რომელმაც ორივე, ზემოთ მითითებული კანონისაგან განსხვავებული წესი დაადგინა, რითაც ხელი გაუხსნა თბილისის საკრებულოს მიიღო სრულიად უკანონო აქტი, რომლითაც კანონმდებლობით ცალსახად ადგილობრივ მოსაკრებელთა კატეგორიას განკუთვნილი გადასახადი მომსახურების ტარიფად აქცია და შესაბამისად, შემოიღო მისი მოკრეფის განსხვავებული პროცედურა.

<u>შესაბამისად, შემოთავაზებული ინიციატივით ცვლილება შედის საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ კანონში, რათა გასწორდეს 44[1] მუხლით დადგენილი შეუსაბამობა და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ და ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ კანონებთან.</u>

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს დაფინანსების წყაროებზე

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

---

3. ამოღებულია *(29.12.2006 N4241)*

4. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის – 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე. *(17.12.2010 N 4128)*

5. მოსაკრებლის ოდენობა შეიძლება დიფერენცირებული იყოს ნარჩენების წარმომქმნელის მიერ, დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე ნარჩენების წარმომქმნელის შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც.

6. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტი გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიხედვით ერთიანი რეგლამენტაცია ხდება ქვეყანაში მოქმედი მოსაკრებლების სისტემის რაც დადგენილია საქართველოს კანონით „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტი ითვალისწინებს გარკვეულ ფინანსურ შედეგებს ქალაქ თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტისათვის.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტით დგინდება მოსაკრებლების ერთიანი სისტემის პრინციპი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონით „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს.
თუმცა არსებობს

საქარტველოს სასამართლოებში მრავლობითი ადმინისტრაციული საჩივრები რომელიც შეტანილი იყო თბილისის საკრებულოს წევრების, მოქალაქეებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ სადაც დასაბუთებულია სფეროს მარეგულირებელ დღეს მოქმედ კანონებსა და თბილისის საკრებულოს გადაწყვტილებებს შორის არსებული შეუსაბამობები

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორია: საქარველოს პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
კანონპროექტის ინიციატორია: საქარველოს პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი